1. ინფორმაცია პრეტენდენტის 01.01.2013-დან ტენდერის გამოცხადების თვის 1-ლ რიცხვამდე პერიოდში საშუალო წლიური ბრუნვის შესახებ:

- პრეტენდენტის „**საშუალო წლიური ბრუნვა - S საშ**“ გამოითვლება შემდეგი ფორმულის გამოყენების საშუალებით:

$$S_{\text{საშ}} = \frac{S1 + S2 + S3 + S4 + S5}{N} \times 12$$

სადაც:

S_1 – პრეტენდენტის 01.01.2013-დან 01.01.2014-მდე პერიოდში მიღებული წლიური ბრუნვა

S_2 – პრეტენდენტის 01.01.2014-დან 01.01.2015-მდე პერიოდში მიღებული წლიური ბრუნვა

S_3 – პრეტენდენტის 01.01.2015-დან 01.01.2016-მდე პერიოდში მიღებული წლიური ბრუნვა

S_4 – პრეტენდენტის 01.01.2016-დან 01.01.2017-მდე პერიოდში მიღებული წლიური ბრუნვა

S_5 – პრეტენდენტის 01.01.2017-დან ტენდერის გამოცხადების თვის 1-ლ რიცხვამდე პერიოდში მიღებული წლიური ბრუნვა

N – თვეების რაოდენობა პრეტენდენტის რეგისტრაციის თვიდან - ტენდერის გამოცხადების თვემდე. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი დაარსებულია 2013 წლამდე, მაშინ თვეების ათვლა დაიწყება 01.01.2013-დან.

<u>შენიშვნა:</u> დოკუმენტაცია პრეტენდენტის **საშუალო წლიური ბრუნვის** გამოსათვლელად წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციის 2.6.1 პუნქტის მე-5 პუნქტში განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

2. მიმდინარე ზღვრული შესაძლებლობის გამოთვლის წესი და პირობები:

- პრეტენდენტის **„მიმდინარე ზღვრული შესაძლებლობა - ∑“** არ უნდა აღემატებოდეს პრეტენდენტის **„საშუალო წლიურ ბრუნვას“ - $S_{\text{საშ}}$.** პრეტენდენტის „მიმდინარე ზღვრული შესაძლებლობა“ გამოითვლება შემდეგი ფორმულის გამოყენების საშუალებით:

$$\sum = \frac{(P + L) * 12}{D} \times 0{,}5$$

სადაც:

∑ – პრეტენდენტის „მიმდინარე ზღვრული შესაძლებლობა“

P – წინამდებარე ტენდერის სავარაუდო ღირებულება ლარებში;

D – წინამდებარე ტენდერით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების პერიოდის ხანგრძლივობა თვეებში;

L – წინამდებარე ტენდერით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების პერიოდში, სხვა მიმდინარე ხელშეკრულებების ფარგლებში დარჩენილი ვალდებულებების ჯამური ღირებულება ლარებში.

შენიშვნა:

ა). იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ სატენდერო დოკუმენტაციის დანართში N7 მოცემულ რომელიმე პოზიციაზე, მიმდინარე ვალდებულებების შესრულების პერიოდი აღემატება ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდების ვადას, შემსყიდველი მოცემულ პოზიციაზე დარჩენილი ვალდებულებებიდან, გაითვალისწინებს მხოლოდ იმ ნაწილს, რომელთა შესრულება პროპორციულად დროში **((დარჩენილი სამუშაოების ღირებულება/დარჩენილი სამუშაოების შესრულების ვადა) Xტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდების ვადა)** ემთხვევა ტენდერით განსაზღვრული სამუშაოების შესრულებას.

ბ). იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვერ დადგინდება მიმდინარე ვალდებულებების პერიოდი, შემსყიდველი ორგანიზაცია სრულად გაითვალისწინებს მიმდინარე ვალდებულებების ღირებულებას ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდების პერიოდში.